ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3308961

ნომერი: AR1511074

თარიღი : 05.06.2017

გაცემის თარიღი : 12.06.2017

გაცნობის თარიღი : 12.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა რ. თაბუკაშვილი (ყოფ. მწელაძე), N 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თემურ ფარულავა პ/ნ 62004013658
- გულრიფში კონსტიტუციის ქ. N 6 ბ. 48

ორგანიზაცია:
- მარჯი კოდი: 211377767

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  კორექტირება
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურშიწარმოდგენილ თქვენს 05/06/2017 წლის AR1511074 განაცხადთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა:

- წარმოდგენილ იქნას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ახალი წერილი საპროექტო შენობაზე ვრცელდება თუ არა უძრავი ძეგლის სტატუსი ან ძეგლისთვის დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი.
- წარმოსადგენია ასევე საკადასტრო გეგმა საპროექტო არეალის მითითებით.
- გათვალისწინებული იქნას რეკლამის შესახებ კანონი.კანონი.( გაითვალისწინეთ რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, "რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლისგამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე", ხოლო ამავე მუხლის 2' პუნქტის თანახმად, "საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში იგი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე უცხოურ ენაზე. უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას".
- ფოტომონტაჟზე არ არის მითითებული ზომები და ნიშნულები.
- წარმოდგენილი იქნას შპს "მარჯის" უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ გაცემული მინდობილობა ან უფლებამოსილი პირ(ებ)ი დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლებად.ამასთან საჭიროა წარმოდგენილი იქნეს რეესტრში რეგისტრირებული ვალდებულების საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში გამყიდველის თანხმობა.

სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.